



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 83

2014 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

„2014 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილი ღონისძიებებზე დაფინანსებული საგრანტო განაცხადების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ფონდში წარმოდგენის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2014 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილი ღონისძიებებზე დაფინანსებული საგრანტო განაცხადების ავტორებმა, საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 10 სამუშაო დღის ვადაში (არაუგვიანეს 2014 წლის 13 ოქტომბრისა) წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია;

ა) პირადობის მოწმობის სრული ასლი;

ბ) მოწვევის და მოხსენების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები (ნათარგმნი თარჯიმანთა ბიუროს მიერ);

გ) პირადი ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ).

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულ პირებთან საგრანტო ხელშეკრულება არ გაფორმდება;

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, თამარ ბოკუჩავას წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

